



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №307/18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 18 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 იანვრის №8/307-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 4 მარტს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო, გადაწყვეტილებით დაადგინა არარსებული ფაქტები, არასწორად წარმოაჩინა მოწმის მონათხრობი. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 10 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსარჩელე მხარეს 15 წუთი განუსაზღვრა სიტყვისთვის, რომელიც ერთი ადვოკატით იყო წარმოდგენილი პროცესზე და მოპასუხე მხარესაც 15 წუთი, რომელიც სამი პირით იყო წარმოდგენილი პროცესზე. ამავე პროცესზე მოსამართლე ყველანაირად ეცადა განერიდებინა კითხვა, რომელზეც მოწმის მიერ მოსარჩელე მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის არახელსაყრელი პასუხი იქნებოდა გაცემული.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მას საპაექრო სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა, იმ მოტივით, რომ შემდეგი სხდომა იწყებოდა და ამის დრო არ იყო, რითაც დაარღვია თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი. ამასთან, საპაექრო ეტაპის ამსახველი სხდომის ოქმი არ არსებობს, რადგან სხდომის ელექტრონული სახით ჩაწერა არ განხორციელებულა. როდესაც სასამართლოს მიმართა სხდომის ოქმის მოთხოვნით, სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსიის ნაცვლად გადაეცათ სხდომის მდივნის 2018 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული აქტი და სასამართლო სხდომის ოქმი. საჩივრის ავტორი პრეტენზიას გამოთქვავს, თუ რატომ არ ეცნობათ სასამართლო სხდომაზე ან სხდომის დასრულებისას, რომ სხდომის ოქმის დისკი დაზიანებული იყო სასამართლო სხდომაზე ან სხდომის დასრულებისას.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომა დაინიშნული იყო 2018 წლის 28 სექტემბერს 15:00 საათზე, სხდომაზე დასასწრებად გამოცხადდა ნახევარი საათით ადრე. სასამართლო სხდომის დაწყების გაჭიანურების გამო, ადვოკატმა -- -- მანდატურს კითხა ხომ არ იყო მოსული მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი -- --, რაზეც მანდატურმა უპასუხა, რომ მათ მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე მოვიდა რადგან დაბარებული იყო, თუმცა ვის მიერ არ უთქვია. საჩივრის ავტორი ეჭვს გამოთქვავს ასევე იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლისას ადვოკატი -- -- და სხდომის მდივანი -- -- უკვე დარბაზში იყვნენ, რაც შეიძლება კავშირში იყოს იმავე დღეს ჩატარებული სხდომის ოქმის დისკის დაზიანებასთან.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 20 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანის, ხელშეკრულებათა ნაწილობრივ ბათილად ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების თხოვნით. 2017 წლის 30 იანვარს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 26 მარტს. სასამართლო სხდომები გაიმართა 26.03.2018; 06.06.2018; 10.09.2018; 28.09.2018; 24.10.2018 წწ პერიოდებში. 2018 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2.2. 2018 წლის 29 ნოემბერს მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 14 თებერვალს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 მარტის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ,

თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის უადგილოდ ან შეუფერებლად მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ანდა სასამართლოს – კოლეგიურად, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ერთ-ერთ საქმეში განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის მიერ მხარეთათვის შეჯიბრებითობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. პალატის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი

განხილვის უფლების შეზღუდვად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმგვარი შეზღუდვა, რომელიც კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარეობს.

მხარეთა სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი ნიშნავს რომ საქმის განხილვის პროცესში ორივე მხარეს ჰქონდეს ერთნაირი საპროცესო უფლებები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად, რაც აგრეთვე ნიშნავს იმასაც, რომ თანასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად განესაზღვრა ორივე მხარეს თანაბარი დრო სიტყვისთვის.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 მარტის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი